პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ ქმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 მაისი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 109 (15626)

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ



ᲣᲨᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲒᲬᲧᲕᲘᲢᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. — ᲐᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲘᲒᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲘᲡᲐᲪᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ

ᲑᲔᲜ. ᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲠᲘᲜᲘᲐᲗ. ᲐᲛ ᲡᲐᲛᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ Ვ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲗ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲐᲠᲨᲘᲡ ᲙᲘ ᲛᲭᲘᲡᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲚᲝᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲩᲜᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲭᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲗᲝᲗᲝᲩᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲒᲝᲚᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲐᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲡ.

ᲐᲠᲪ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲢᲔᲮᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ. Ვ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲒᲐᲪᲓᲘᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐᲚᲘᲡᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲐᲠᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲭᲘᲡᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲚᲝᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲩᲜᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲝᲠᲘᲒᲔ ᲔᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲛ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲗᲝᲗᲝᲩᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲒᲝᲚᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲐᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲗ ᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲗᲝᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲘᲒᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲘᲡᲐᲪᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲙᲝᲛᲘᲢᲘᲗᲐᲛ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲐ Ვ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲗᲝᲗᲝᲩᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲒᲝᲚᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲐᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲗ ᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲗᲝᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲘᲒᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲘᲡᲐᲪᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲙᲝᲛᲘᲢᲘᲗᲐᲛ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲐ Ვ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲐᲗᲐᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲘᲐ Ვ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲛ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲐ. ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲖᲖᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲖᲝᲜᲐ

გულითადად ულოცავენ ლ. ი. ბრეჟნევს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ,
ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველა ისრაელი კომუნისტის — ებრაელისა და არაბის სახელით გულითადად გილოცავთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას. ეს ფაქტი მიგვაჩნია სკკპ XXIV ყრილობაზე მოწონებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი წარმატების აღიარებად, ამ წარმატებაში თქვენი პირადი წვლილის აღიარებად. გისურვებთ. ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, ჯანრთელობასა და შემდგომ წარმატებებს ბრძოლაში საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

მეირ ვილნერი,
ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

□

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მხურვალედ გილოცავთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ადგას მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცების საკეთილდღეოდ და თქვენი ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ამოცანების შესრულების ინტერესებისათვის.

პიერ ჟანსუნი,
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი.

□

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

გულითადად გილოცავთ, ამხანაგო ბრეჟნევ, დირსშესანიშნავ და სასიხარულო მოვლენას — მაღალი საპატიო ჯილდოს — მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის დამსახურებულად მონიჭებას, რაც აღიარებაა თქვენი თვალსაჩინო როლისა ხალხთა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა პირადად თქვენ გესურვოთ ბედნიერება და კეთილდღეობა, აგრეთვე ახალი მიღწევები და ოცავება ჟუსურვო ჯერ საბჭოთა ხალხს.

დიდ პატივისცემით

გენერალი მოჰამედ სიად ბარე,
სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი.

□

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც თავის სხდომაზე შეიკრიბა ვარშავაში 5-8 მაისს, ყველა კონტინენტის მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის სახელით გულითადად გილოცავთ მაღალ ჯილდოს — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას.

მიგვაჩნია, რომ ეს დამსახურებული ჯილდო მაღალი შეფასებაა თქვენი თვალსაჩინო მოღვაწეობისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე, თქვენი დაუცხრომელი მეცადინეობისა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებულ მშვიდობის პროგრამას, რომლის შემუშავებასა და განხორციელებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ თქვენ, სულ უფრო ნაყოფიერი შედეგები მოაქვს ამპერიალისტური აგრესიის მოგერიებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ომის საშიში კერების ლიკვიდაციაში. მსოფლიოში ახალი ატომოსფეროს შექმნაში იმ საფუძველზე, რომ სულ უფრო მეტმა სახელმწიფომ ცნოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. ამავე დროს ეს არის იმ ხალხთა სოლიდარობისა და მხარდაჭერის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან.

თქვენ ეკუთვნით თანამედროვეობის იმ გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც გულისხმიერად ეკიდებიან საერთაშორისო საზოგადოებრიობის ხმას, და ვამყობთ, რომ ჩვენი მოძრაობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უცვლელად ვსარგებლობდით თქვენი გაგებითა და მხარდაჭერით.

ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის საქმე, ენთუზიაზმით შეხვდნენ წინადადებას, რომელიც ბევრმა საერთაშორისო და ეროვნულმა ორგანიზაციამ წამოაყენა წელს შემოდგომაზე მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ მოსკოვში, ჰელსინკში, რომელიც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი სამშვიდობო ინიციატივების სიმბოლოდ იქცა, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, რომლის ხალხი ცხოვრობს მთელი კაცობრიობის ინტერესებით და იბრძვის დედამიწის ყველა ადამიანის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

გისურვებთ თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს ახალ დიდ მიღწევებს მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმი.

ვეხუთე მთვარის დღის დილა

ზორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 10 მაისი. (საკდესი). „ლუნოხოდ-2“ ავტომატურმა აპარატმა დიწყო მეხუთე მთვარის დღის პროგრამის შესრულება.

8 მაისს გამართულ კავშირგაბმულობის სეანსში გახსნილ იქნა შზის ბატარეის პანელი და შემოწმდა საბორტო სისტემების მდგომარეობა.

9 მაისს მთვარემავალმა განაახლა მოძრაობა. ავტომატური აპარატი დაშორდა დიდ ტექნიკურ ნარდვევს, რომელსაც იკვლევდა წინა მთვარის დღის განმავლობაში, შემდეგ გაემართა ჩრდილოაღმოსავლეთის მიმართულებით ტავრის მთიანი მატერიკის მასივის სანაპირო ხაზის უახლოესი შვერილისაკენ.

კვლევა ლემონიეს კრატერში გრძელდება.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 7 მაისის ბრძანებულებით ქალაქ მახაჩკალის საზოგადოებრივი შენობების დაპროექტების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოდნენ ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ამხ. კონსტანტინე ვიანჩესლავის-ძე **ჩხეიძე** — თბილისის ელექტრომექანიკური პროექტირებისა და სამეცნიერო-საკვლევი ზონალური ინსტიტუტის არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი.

ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ყიფიანი — თბილისის სპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „იერიის“ დირექტორი, — კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ყიფიანი — თბილისის სპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „იერიის“ დირექტორი, — კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

* * *

დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ვლადიმერის-ძე **გეგეჭკორი**—თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, — საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. გიორგი ვლადიმერის-ძე **ჩაგელიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ონის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი, — პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. ვიქტორ ზეევინის-ძე **ჩხეიძე** — „საქსოფლმშენსამხროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი, — საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ამხ. **ალექსანდრეს** ბერძენიშვილი — ბორჯომ-ბაკურიანის ტურისტული ბაზის ადმინისტრაციის ავტოტრანსპორტის ბაზის ავტოფარეხის ავტომძღოლი, — ავტომძღოლობის დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. **ალექსანდრეს** ბერძენიშვილი — ბორჯომ-ბაკურიანის ტურისტული ბაზის ადმინისტრაციის ავტოტრანსპორტის ბაზის ავტოფარეხის ავტომძღოლი, — ავტომძღოლობის დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიაში

თბილისი ცოტა მეტი დრო დარჩა ადგილობრივი საბჭოების — სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოების არჩევნებამდე, რომლებიც მთელი საბჭოთა საზოგადოების ნებასა და ინტერესებს გამოხატავენ.

არჩევნებისათვის მზადება შეიდიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საარჩევნო კომისიები. კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების განუხრელ შესრულებას არჩევნების დროს, მოაწყონ ორგანიზატორული მუშაობა.

8 მაისს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

კომისიის თავმჯდომარემ ს. ვ. დურმიშიძემ აღნშნა, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მშრომელთა უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში, რომლებიც იბრძვიან ხუთწლეულის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ორის ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის მიღწევების, საბჭოთა ეროვნული ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია კოლექტივის წინაშე. შემაჯამებელი მეცადინეობის მთავარი მიზანია დაეხმაროს მსმენელებს მიღებული ეკონომიური ცოდნის განმტკიცებაში, პასუხი გასცეს თავიანთი კოლექტივის, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საკითხებზე.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანების შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ ზრდას, მათს მობილიზებას ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, აღებულ ვალდებულებათა განაღდებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანალიზი გაუკეთდეს — რა ზომით მოქმედებს ეკონომიური საკითხების შესწავლა წარმოების ზრდის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორ უწყობს ხელს ე�ი მსმენელთა ეკონომიური აზროვნების გაღრმავებას, როგორ რაზმავს ადამიანებს — უფრო აქტიურად ეძიონ, გამოავლინონ შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიის რეზერვები, როგორ გამოუმუშავებს მათ მაღალი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

მიზნები, რომლებიც დასახულია შემაჯამებელ მეცადინეობათა წინაშე, შეიძლება მიღწეულ იქნას მათი მაღალი თეორიული დონით, მეცადინეობის ქმედითი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. შემაჯამებელი მეცადინეობის შინაარსი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს პარტიის ეკონომიური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, მეურნეობის გაძღოლის ლენინურ პრინციპებსა და მეთოდებს, ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებს, რომლებსაც მსმენელები სასწავლო წლის განმავლობაში სწავლობდნენ ეკონომიური განათლების ტიპური სასწავლო პროგრამების მიხედვით.

შემაჯამებელი მეცადინეობის მოწყობის ფორმები და მეთოდები შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ მათ ყველა შემთხვევაში მსმენელებს საშუალება უნდა მისცენ გამოიჩინონ აქტივობა და დამოუკიდებლობა განვლილი მასალის გააზრებაში. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ჯგუფური და ინდივიდუალური გასაუბრებები, ანალიზი, ანოტაციები, ანალიტიკური ანოტაციები, ანალიტიკური ანოტაციები, ანალიტიკური

საქართველოს მწერალთა კავშირმა მეცხრე ხუთწლედის ობიექტებზე გაგზავნა მწერალთა დიდი ჯგუფი მხატვრული ნარკვევების შესაქმნელად. მწერალი ვლადიმერ თორდუა ეცნობოდა. ცხაკაიელ ფეიქართა შრომას და დაწერა ნარკვევი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ.

ᲙᲝᲚᲮᲘ ᲐᲠᲐᲥᲕᲔᲕᲘ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲔᲕᲠᲘ სახელოვანი ადამიანის თანასოფელი ვარ. ერთ მათგანზე დამიწერია კიდეც.

ყველა დროსა და ეპოქაში შეიძლებოდა ადამიანი მრავალი საშუალებით გამხდარიყო სახელოვანი, საკვეყნოდ ცნობილი, მხოლოდ არასოდეს — ფიზიკური შრომით.

ამიტომაც, იმ სახელოვანთაგან, რომლების თანასოფელელიც ვარ, დღეს მინდა მოვიგონო სწორედ ფიზიკური შრომით სახელმოხვეჭილი ის ერთი ადამიანი. სხვები, რაკი ზემოთ ნათქვამში დამეთანხმებიან, უთუოდ მაპატიებენ, რომ მათზე არაფერს ვამბობ.

მე იმას როდი ვამბობ, რომ ჩემს რაიონში მარტო მას მოეხვეჭოს ფიზიკური შრომით სახელი. არა. მაგრამ, თუ სახელს მანძილითაც გავზომავთ, მაშინ ჩემი ამ გმირის სახელს ყველაზე მეტი მანძილი აქვს გავლილი. გადაუვლია მას მთები და ზეგნები, ველები და მინდვრები, მდინარეები და ზღვები, მიეღწევია ოკეანემდეც და იქაც დამკვიდრებულა.

და, გკითხავთ, რით? — ფიზიკური შრომით. ასეთი რამ წინათ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველაზე დიდი შრომის შედეგსაც კი მხოლოდ უმეცესი მანძილის გავლა შეეძლო — იმის ნალიამდე, თუ ჯიბემდე, ვისთვისაც ეს შრომა ძალით იყო გაწეული — ექსპლოატატორამდე.

იმ სოფელში, რომლის მკვიდრზეც გელაპარაკებით, ეყოფილვარ დიდი ხნის წინათაც, შემდიდარებია იმ დროისათვის ახალი შრომის ადამიანის ბედი უწინდელთან და უბის წიგნაკში ჩამოწერია როგორც მავი კონტრასტი: — სოფელში იბადებოდა, სოფელში ცხოვრობდა, და სოფელივე საფლავის თავთან ხის ჯვრით უსვამდა წერტილს ადამიანის გაწამებულ ცხოვრებას...

აბა, ახლაც, ჩემს კუთხე-მამულში ყოფნისას, პროფესიის კარნახით, წინა ხუთწლედების სწორედ ის გმირი ადამიანი მოვიკითხე, ვისზეც დიდი ხნით ადრე ორიოდე თბილი სიტყვა მოვეცინა. არის თურმე, და მერე როგორ! — ახალ ხუთწლედშიც განაგრძობს გმირობას.

— მაშ, მეც განვიგრძია მასზე სიტყვა, პატივცემული ნოდარ, გამიბამს გაწყვეტილი ძაფი! — კმაყოფილებას ვერ ვმალავ რაიკომის პირველ მდივანთან, ამხანაგ ჭითანავასთან, რომ ჩემი სიტყვაკუკის შრომის ფალავანი კვლავაც შუქურვარსკვლავობს.

მდივანი დაფიქრდება, შუბლზე ხელს გადაისვამს და რაიონის პატრონის უფლებამოსილებით, მაგრამ ზრდილი ახალგაზრდა კაცის მოკრძალებით, სახეზე ღიმგადაკრული, გამოთქვამს თავის მოსაზრებას:

— შეგიძლიათ. საუკუთესოა. მაგრამ იგი ხომ ცნობილია. ცნობილია იგი თქვენთანაც, სხვებთანაც და, რაც მთავარია, საკუთარი საქმეებით. ცხოვრება კი ერთი დღითაც არ დგება ერთ ადგილას. გვეძახებიან ახალი სახელები, პირმშონი კომენინზის კარიბჭესთან. უფრო მიახლოებულ დროთა, გმირები, თუნდაც, აი, ჩვენი ახალი ხუთწლედისა... მრავალ ასეთ ახალ სახელთა შორის დგიასახელებდით ერთ მუშას...

მუშის გაგონებაზე თვალწინ კინოკადრივით გამირბინა სიყრმის დროინდელმა ღარიბ მესიმინდეთა მაზრამ და მისმა წვრილ ხელოსან-ვაჭართა ცენტრმა სენაკმა.

ახლა, თუ ვინ არის ის ერთი, ყველაზე ღირსეული ფეიქეური შრომის ადამიანთა შორის, ვისზეც შეიძლება მწერალმა სიტყვა თქვას, ჩემი მშობლიური რაიონის პარტიული ხელმძღვანელი მუშას ასახელებს. მაშ, ჩემი სენაკი, ახლა ცხაკაია, მარტო სახელოვან სოფლის მეურნეობის მუშაკთა როდია, იგი ინდუსტრიულიც არის. მაშ, გზა ინდუსტრიულ ცხაკაიისაც!.. თუ სოფლის მეურნეობა რაიონს ათ მილიონ მანეთ შემოსავალს აძლევს, მრეწველობა — ორმოცდაორ მილიონს!

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ მუშას:

ლეილა კვარჭაია!

იგი აღმოჩნდა მუშა საწარმოსი, ოდესლაც ძნელად გასავლელი, ყოფილი სამხედრო, ახლა მოასფალტებული გზის პირას, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ არის განლაგებული. ცხოვრობს თურმე იგი — შვილთაშვილი იმ ღარიბ მესიმინდეთა — იმავე ქუჩაზე, რომელზეც მისი საწარმოა — მშვიდობიანზე. საწარმოც ყოველად მშვიდობიანი! უფრო მეტიც — მსახური მშვენიერებისა. ხალიჩების საქსოვი კომბინატი.

ყველანი სადღაც დავბადებულვართ და გავზრდილვართ. ყველას — ზოგს მეტი, ზოგსაც ნაკლები — გვისწავლია, ყველანი რაღაც საქმეს — ზოგი დიდს, ზოგიც მცირეს — ვადგვიანთ. ლეილაც ასეა. იმაზე მეტს, რომ იგი ახალგაზრდა კომუნისტი და ცხაკაიის ხალიჩების კომბინატის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მქსოველია, მისი ბიოგრაფიიდან ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ გიამბობთ. ერთისა დავუმატებ, და, მოდით, ეს შევიდეს მის ბიოგრაფიაში:

კომბინატის კომუნისტების პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ განხილავდნენ. ლეილა კვარჭაიამაც ითხოვა სიტყვა. დადგა ტრიბუნასთან, დარბაზს ზღვისფერი ნაზი თვალები მიმოავლო, წაბლისფერ ხვეულ თმაზე ხელი გადაისვა და მორცხვად, ძლივს გასაგონად, ისე რომ, დგგილებიდან შეძახილებიც კი გაისმა: — „ხმამაღლაო", — წარმოთქვა:

— ამხანაგებო, ყრილობის მასალებს რომ ვეცნობი, თავს მოვალედ ვრაცხ საერთო საქმეში ჩემი წვლილიც შევიტანო. ეფექრობ, შეიძლებ და უნდა შევძლო კიდეც კომუნისტმა: ხუთწლედის პირადი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულო!

ვინც ქსოვის სირთულეს იცნობს, მიხვდება, რა რისაზეც მიდის ხუთწლედის ოთხ წელიწადში შემსრულებელი მეხალიჩე.

პლენუმის შედეგებს რომ განიხილავდნენ, კომუნისტმა ლეილა კვარჭაიამ კვლავ ითხოვა სიტყვა, დადგა ტრიბუნასთან და თავისი სახელოვანი საწარმოო ბიოგრაფიის მიეუხედავად მორცხვად, ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

— ამხანაგებო, მე გადავსინჯე ჩემი და ჩემი დაზგის შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შემიძლია კიდევ უფრო შეგიტყობო ჩემი ხუთწლედიდან ვადა — ადრე აღებული ვალდებულების შესაცელელად გვისრულობ ხუთწლედის პირადი გეგმის სამნახევარ წელიწადში შესრულებას.

ამჯერად ლეილას ამ თაოსნობას თანამედროვეთა შედარებით მცირე ნაწილი — სამოცი კაცი — გამოუჭრდა მიმდევრად ძნელია...

სამუშაოზე ოხუთმეტი-ოცი წუთით ადრე მოდის. არავის როგორ მუშაობდა წინა ცელა, წესრიგზე იყო თუ არა საქსოვი მანქანა, ხომ არ წყდებოდა ქსელის ძაფები, საქმაოა თუ არა ქსელისა და მისაქსელის მარაგი. ცელის მიღების შემდეგ კი აწყობს, ამზადებს სამუშაო ადგილს, სამასრეებზე ამაგრებს სათადარიგო ბობინებს, იმარაგებს მისაქსელს სათადარიგო ყუთში, საზეთავს, ჯაგრისს.

ეი ჩართო ლეილამ ძრავი, გამოსწია სახელური მარცხნივ, შეამოწმა სათადარიგო მაქონები, არის თუ არა მისაქსელი. ვედრე მისაქსელი ამოთავდებოდა, გაიჩერა დაზგა, ამოიღო მაქო და სათადარიგო გაწყობილი მაქო ჩადო სამაქოე კოლოფში, კვლავ ჩართო დაზგა. მარჯვენა ხელის ცერი დაიჭირა მაქოს სახურავს და მარცხენა ხელის ცერით გასწია საკეტი, ახადა მაქოს სახურავი, აიღო მისაქსელი დაზგის მარცხნივ მოთავსებული მისაქსელის სათადარიგო ყუთიდან. ხედავს, მცირეა ნარჩენი. გადააბა მისაქსელები... ქვეოსტატ გასილ ფრანგიშვილთან და მემასრე ნადია აშორდიასთან ერთად ლეილა საოცრად ჰარმონიულ ანსამბლს ქმნის თავის დაზგასთან. საამქროს კინომოყვარეულებმა სპეციალური ლენტიც შექმნეს ლეილას მუშაობის პროცესზე. ვირტუოზულია მისი ილეთები მაქოს შეცვლასს, მისაქსელის, ხაოს, ძირის თუ ფენილის ქსელთა წყვეტის ლიკვიდაციისას, რუკის გასწორებისას თუ მაქოს გაწყობისას. ყველა ამ პროცესთა საკავშირო ნორმატივებს იგი თითქმის ერთიორად ასრულებს.

შესაძლოა საათები გავიდეს, და ჩვენ არც მოგვაგონდეს, რომ გვაქვს თვალისჩინი, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ. ლეილას კი ერთი წამითაც არ ძალუძს თვალი მოარიდოს თავის ასობით ძაფის ქსელს, დაზგაზე გადაჭიმულს, და მაქოს, ქსელის ამ მარგალიტებელს. არსად არ უნდა იყოს ძაფის წყვეტა, და თუ ასეთი იქნება, თვალის დახამამების უმალ განასკვოს და საქსოვის მეორე პირზე გაიყვანოს. დაზგაზე მომუშავე ლეილა რადაც ზღაპრულ ფერად იქცევა ხოლმე, ზენაარული ძალით დაჯილდოებულად. მითოლოგიის ეთქმოდა მასთან გაჯიბრებას ქსოვის ქალღმერთი ათენა თუ შეძლებდა. გაჯიბრებია ათენა ლიდიელ გოგონას — ჯადოსნურ ხელმოსაქმეს, ხალიჩის უზადო ქსოვილს, და დამარცხებულ ქალღმერთს ისლა მოუხერხებია, თბობდ — არაქნედ — იქცია გამარჯვებული, ხოლო მისი შთამომავლობისათვის დაეტოვებინა წყევლა — მუდამ ბნელში იქსოვა.

ᲚᲔᲘᲚᲐ ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში მოვიდა იმ ღირსახსოვარი დროიდან სამასი წლის შემდეგ, როცა მისი შორეული წინაპრებედნი, მადრიდის სანტა ისაველის უბრალო მეხალიჩე ქალები სიუეტურ ტილოზე უკვდავყო დიდმა ესპანელმა მხატვარმა დიეგო ველასკესმა თავისი „მითითი არაქნეზე". ცხენ ხალიჩების სამეფო სახელოსნოში. წინა პლანზეა ნახევრად ბნელი ოთახი, რომელშიც მუშაობენ უბრალო, ღარიბულად ჩაცმული მრთველ-მქსოველები. ორიოდ საფეხურს ავყავარო უკან, რამდენადმე მაღლა, სინათლის უხვი ნაკადით გაშუქებულ შეზიდულ ოთახში, სადაც სასახლის ფრეილინები ტკბებიან მაღალი ფენები, ბრწყინვალენი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი, იქმნება აქ, ჯელასკესის ასახულ ნახევრად ბნელ სახელოსნოში. და შთამომავლობა არაქნესი განაგრძობდა ექსოვა, ვით ობობას, ზღაპრულად ლამაზი ხალიჩები, ღირსი თვით არაქნეს ნიჭიერებისა, ღვთაებასთან გაჯიბრებული, ღვთაებაზე გამარჯვებული შთამომავლობა!.. იყო ხალიჩები ტიციანის უკვდავი „ევროპეს მოტაცების" გამოსახულებითაც, ფინიკიის მეფის აგენორის ასული, ზღვისპირას ტოლეებთან ერთად მოთამაშე, რუხ ხარად მოვლენილმა ზევსმა კრეტაზე რომ გაიტაცა, მერე ამ მითის მიხედვით თვით კონტინენტს რომ შეერქვა ევროპა...

ᲐᲮᲚᲐ, ჩემი მშობლიური ცხაკაიას ხალიჩები, ლეილასა და მის თანამედროვეთა მოქსოვილი, იტაკებენ ევროპას, და ალ მარტო ევროპას — ბაზელისა და პარიზის, ანზმრისა და ალეირის, ქაიროსა და ბერლინის გამოფენებსა და ბაზრობებზე. მათში ჩაქსოვილია ჩემი სამშობლოს უკეთესი გამოსახულება ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნებაში. თვმატერსა თუ პორტრეტის სახეებში. მხატვრული გამომსახველობისა და დიდი იდეური შინაარსის გადმოცემის ოსტატურობით რომ გამოირჩევიან, საბჭოთა ხალიჩთქსოვის უმაღლეს მიღწევად რომ ითვლებიან.

— სწორედ ლეილასთანა მომუშავეების მონაცემებით გვაქვს დაგეგმილი მეცხრე ხუთწლედში ოთხი მილიონ ას სამოცდაათი ათასი კვადრატული მეტრი პროდუქციის გამოშვება, — მეუბნება ინჟინერი რევაზ კუპრავა, კომბინატის დირექტორი, — ეს კი, გონებს თვალით თუ წარმოვიდგენთ, ფარავს კოლხთა მიწას...

— და კოლხეთი კი ხატავს ამ პროდუქციას თავისი კოლორიტით, — ჩაურთავს თინათინ ხარბედია, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, და მზერას მიაპყრობს ასორტიმენტის სალონის კედლებს, რომლებზეც გამოფენილია კომბინატის ნაწარმთა ზოგიერთი ნიმუში.

და მართლაც: ხალიჩა ხომ მხატვრული საფიქრო ნაწარმია, რომელშიც ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნებით ასახულია ბარემ სინამდვილე. და სადაც უნდა ვნახო ცხაკაიური ხალიჩა, ადგილზე თუ მის ფარგლებს გარეთ, მე ვხედავ მასში, მინიატიურულად წარმოსახულს, ჩემი სამშობლოს ეკონომიკასა და კულტურას. და თითქოს მომენახულებინოს ჩემი მშობლიური კუთხე-მამული, ფარდა ამეხადოს გადასული დღეებისათვის, ყოველ ნაბიჯზე შემემჩნიოს ლიწადში, სიმჭიდროვისა და ნახატის სირთულის მიხედვით, ათი-თორმეტი კვადრატული მეტრი ხალიჩა იქსოვებოდა, მან კი ორფენიან ხალიჩასაქსოვად დაზგაზე ორმოცდახუთი-ორმოცდაათი კვადრატული მეტრი მოქსოვოს... ოვ სასოწარ ორმოცდაათ ათასი, არამედ, ორმოცდაათ ათასი კვადრატული-მეტრი ხალიჩა მეცხრე ხუთწლედში. ... ხუთწლედი მომავალი ულიანოვ... ... ...

გმირები კვლავ ცხოვრობენ ერთმანეთს

გამარჯვების დღესასწაული საქართველოში

ერის სიხარულის, განცდის ისეთი წუთები, საათები, დღეები, რომელთა დავიწყება ადამიანს არ შეუძლია. სიხარულს, როგორც ფრინველს, სივრცე ესაჭიროება, გული ვერ იტევს, ყველას გინდა გაუზიარო იგი. ასე იყო დაუვიწყარ 1945 წლის 9 მაისს, როცა საბჭოთა ხალხმა, მისმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა იზეიმეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დიადი დღესასწაული.

დიდი სამამულო ომი ხომ ყველაზე სასტიკი იყო იმ ომებიდან, რომლებიც ოდესმე კაცობრიობას გადახდენია. გმირმა საბჭოთა ხალხმა ამ ომში ოცი მილიონი მამულიშვილი დაკარგა. გაჩანაგდა, განადგურდა მრავალი ქალაქი და სოფელი.

საუკუნეებში იცოცხლებს სახელოვანი საგმირო საქმენი ჩვენი ადამიანებისა, რომლებმაც მკერდით დაიცვეს თავიანთი სოციალისტური მონაპოვარნი, მსოფლიო იხსნეს ფაშისტური ბარბაროსობის საფრთხისაგან.

იხტორიას არ ახსოვს მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, საბრძოლო ძმური კავშირის, მასობრივი გმირობის ისეთი მაგალითები, როგორიც სამამულო ომში გვიჩვენა ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა და ეროვნებამ.

საბჭოთა ადამიანებმა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 28 წლისთავი დიდი ზეიმით აღნიშნეს.

დიდი სამამულო ომის ვეტერანები შეიკრიბნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლთან, გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს იგი. შემდეგ ისინი მივიდნენ სახელგანთქმული მხედართმთავრის კ. ლესელიძის ძეგლთან, პატივი სცეს მას.

როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში, ისე საბჭოთა საქართველოს მიწაწყალზეც მშრომელნი გამარჯვების დღესასწაულს შეეგებნენ ახალ-ახალი წარმატებებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ნაზი, მწვანე ფერებით, ყვავილებითა და ალისფერი დროშებით იყო დამშვენებული თბილისი. 9 მაისს გამარჯვების კულტურისა და დასვენების (ვაკის) პარკში დიდი სახალხო ზეიმი გაიმართა. აქ იყვნენ სამამულო ომის ვეტერანები, საწარმოთა მოწინავე ადამიანები, სტუდენტები, მოსწავლეები, საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ლაშქრობები გამარჯვებულთა მეხუთე რესპუბლიკური შეჯრება გახსნა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ. დამსწრეთ გულთბილი სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ვლ. ჯანჯღავამ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჭაბუკები და გოგონები. მათთვის, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, ძვირფასია მშვიდობის იხტერესები. ამიტომაც ისინი მთელი გულით დიდ მადლობას უხდიან საბჭოთა ხალხს, მის მამაც შეიარაღებულ ძალებს, რომელმაც კაცობრიობა იხსნეს ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

ზეიმში მონაწილეობა მიიღეს: საბჭოთა კავშირის გმირმა, ცნობილმა მფრინავმა, დღეს მეცნიერ-მუშაკმა დ. ჯაბიძემ, სტალინგრადის დაუვიწყარი ბრძოლების მონაწილემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ, სამამულო ომის დიდი ბრძოლების ცოცხალმა მემატიანემ პოლკოვნიკმა ვ. ჯანჯღავამ, საბჭოთა კავშირის გმირმა გ. შენგელიამ, უფროსმა ლეიტენანტმა, სამამულო ომის ვეტერანმა შ. ოქროპირიძემ, სოციალისტურმა შრომის დამკვრელმა, ზეინკალმა ვ. სუხიშვილმა, რომელმაც გამარჯვების პირველი დღესასწაული, როგორც რიგითმა ჯარისკაცმა, მტრის განადგურებულ ბუნაგში — ბერლინში იზეიმა.

ანაპის ყოფილი 414-ე წითელდროშოვანი დივიზიის ვეტერანთა შეკრება გაიმართა ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში (ფუნიკულორის პლატო).

ტრადიციულად, ვაკაცურად იზეიმეს გამარჯვების დღესასწაული ქართველმა პარტიზანებმა, რომლებმაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაწერეს გმირული ბრძოლების ფურცლები. პარტიზანთა კოცონი დაინთო პარტიზანთა პარკში, სახელმოხვეჭილმა პარტიზანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ დამსწრეთ სიამაყით მოახსენა მამულიშვილთა დიდებულ საქმეებზე.

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს გამარჯვების დღესასწაული აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, რუსთავში, გორში, თელავში, ონში, ლენტეხში...

საღამოს თბილისშიც იქუხა გამარჯვების სალუტმა. ათასნაირ ფერებმა გადაანათეს მშვიდობიანი ცა...

გვიანობამდე გრძელდებოდა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული, სიხარულის, წინსვლის, მშვიდობის დიდებული დღესასწაული.

აპ. სხვაველი.

სურათზე: მარცხნივ — პარტიზანული კოცონი; მარჯვნივ — 9-10 შეხვედრის მონაწილენი (მარცხნიდან) ა. ღოღობერიძე, ა. კახეთელიძე, ა. ჩხაიძე, დ. ბაქრაძე, ვ. ძნელაძე, მ. სარაფვა, ს. არუთინოვი, შ. სოხაძე, დ. თავაძე და ა. ბუნერიძე.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

მეორედ ირლანდიაში

საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის საზღვარგარეთის ტურნე.

10 მაისს საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიური სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი, საგასტროლოდ გაემგზავრნენ ირლანდიაში.

— ირლანდიას მეორედ ვეწვევით, — უთხრა გამგზავრების წინ საქინფორმის კორესპონდენტს ნ. რამიშვილმა. — ქართველი მოცეკვავეები ირლანდიელ მაყურებელს იცნობენ როგორც განსაკუთრებით მომთხვნსა და ხელოვნების ნამდვილ შემფასებელს. თუმცა ჩვენ უკვე გამოვნახეთ მათთან „საერთო ენა“, მაინც მდელვარებით მოველოთ ამ შეხვედრას.

ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართება დუბლინში 12 მაისს. ორი კვირის განმავლობაში კონცერტებს გავმართავთ დუბლინში, შემდეგ ქვეყნის სხვა ქალაქებშიც.

ჩვენი გასტროლები გაგრძელდება ინგლისში. აქ ერთ თვეს დავყოფთ. ეს არის ჩვენი მეოთხე შეხვედრა ინგლისელ მაყურებელთან. პროგრამაში შევიტანეთ სიუიტები და ცეკვები, რომლებიც ჯერ არ შეგვისრულებია საზღვარგარეთ. გასტროლების დროს მაყურებელი ნახავს ახალ დადგმებს — მასობრივ ქართულ ცეკვას ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“, „სადარბაზოს“, „აჭარულ სიუიტას“ ახალი რედაქციით, „სატრფიალოს“. ახალი კოხეოგრაფიული შესრულებულია რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის, ლენინური პრემიის ლაურეატის ხ. ვირსალაძის ეტიუდი.

საზღვარგარეთელ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცემა ნახოს ქართული ხალხური ცეკვები, რომლებიც დადგეს ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილმა. ცეკვებში შენარჩუნებულია ეროვნული კოლორიტი, ამასთან მიეცა ახალი შინაარსი და მკაფიო თეატრალური ფორმა. ამ დადგმებში ყოველთვის არის დრამატურგია, სტილი და გახუმეორებელი კოლორიტი, რომელიც ასე იზიდავს ქართული ეროვნული ცეკვის მრავალ თაყვანისმცემელს მსოფლიოს ყველა კუთხეში. (საქინფორმი).

16 აპრილის ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა რუსთაველის მოედნის მახლობლად, საფოთაქო მაღაზიის წინ რამდენიმე მთვრალი ახალგაზრდა მივიდა. სამუშაო დამთავრებული იყო და აფთიაქის თანამშრომელი ქალები სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ. აქვე გაჩნდა აფთიაქში ვითომ საქმეზე მისული მაშაკაცი „ჯოკის“ სახელწოდებით. მალე ჩხუბი ატყდა. ვიღაცამ დაიკივლა — კაცი მოკლესო!

ქვაფენილზე ბორგავდა სასიკვდილოდ დაჭრილი კარლო ამირიძე, საბალოო მეურნეობის დაგვმვისა და ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომელი.

როცა № 52 საფოთაქო მაღაზიის (მმართველი ნ. პასიევი) თანამშრომლებს ნანა გოგიტიძეს, ცისანა გაზაშვილს და ელიკო ჯღარკავას ამ ღამესვე ჰკითხეს, ვინ იდგა თქვენთან „ჯოკის“ სახელწოდებითო, სამივემ განაცხადა: — არ ვიცით, არ ვიცნობთ ამ დანიან კაცსო.

მაგრამ გამოძიებამ დაადგინა, რომ ისინი კარგად იცნობდნენ „ჯოკის“, რომელმაც სულ რამდენიმე წუთის წინ ამ მანდილოსნებს „დათუნიას“ კამფეტები ჩამოურიგა. მკვლელი აფთიაქის მახლობლად მდებარე პეროვსკაიას ქუჩაზე ცხოვრობდა. იგი — ნიკოლოზ (იგივე ჯოკი) კვანჭახაძე — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსი საქონელმცოდნე იყო. უყვარდა მაგარი სასმელები.

ეს ყველაფერი იცოდნენ აფთიაქის თანამშრომლებმა ნანა გოგიტიძემ, ცისანა გაზაშვილმა და ელიკო ჯღარკავამ, მაგრამ იმ ღამეს არ უთხრეს, დაუმალეს ადმინისტრაციული დარგის მუშაკებს და ამით შეეცადნენ გამოძიებისათვის გზა-კვალის აბნევას.

როცა მკვლელი ნიკოლოზ კვანჭახაძე შეიპყრეს მხოლოდ მაშინ ზოგიერთმა მათგანმა ამოიღო ენა: — კი, ბატონო, ვიცნობ, როგორ არ ვიცნობო.

ასე მოიქცნენ კ. ამირიძის ამხანაგებიც. სულ რამდენიმე საათის წინ „სამაიაში“ ძმობას რომ ეფიცებოდნენ მას. ამ სუფრაზე ისხდნენ: მურად გრიგოლის-ძე ჩაჩხუნაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; ვახტანგ მიხეილის-ძე ბერიშვილი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის ასისტენტი; გიორგი ლევანის-ძე ქოიავა, ზურაბ პლატონის-ძე კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეზუთე კურსის სტუდენტი; ოთარ პავლეს-ძე შავიშვილი, ჯონი თედორეს-ძე ნადირაძე, სამტრედიის კოოპერაციის დირექტორი; თეიმურაზ გიორგაძე და შოთა აბზაანიძე — უნივერსიტეტის სტუდენტები.

სწორედ ისინი თითქმის სამი საათი „სამაიაში“ მაღაზიიდან შემოტანილი არყით უმტკიცებდნენ ერთმანეთს მტკიცე, განუყრელ ერთგულებას. მართლაც, თვითეული მათგანი სულით და გულით მეგობრები იყვნენ დაღუპული ამხანაგისა, მაგრამ ძვირფასი მეგობრის სიკვდილის პირველი წუთიდანვე დადუმდნენ, მიმოიფანტნენ, თითქოს არაფერი იცოდნენ, რა მოხდა.

საკითხავია კიდევ ერთი რამ: სასადილო „სამაიაში“ ხომ არ იყიდება მაგარი სასმელები? მაშ არიის ბოთლები რომ შემოჰქონდათ აქ უწესო მომხმარებლებს და ღრეობდნენ, სად იყო სასადილოს დირექტორი ნ. ადეიშვილი? ან რას აკეთებდნენ სასადილოს სხვა თანამშრომლები?

გასტრონომვაჭრობის № 7 მაღაზიის (დირექტორი ს. ხუციშვილი) გამყიდველები რ. მაისაშვილი, ლ. ორაგველიძე თურმე გაოცებულნი დარჩნენ, როცა კ. ამირიძის მოკვლის მეორე დღეს მილიციაპროკურატურის ორგანოებმა მკვლელს ნ. კვანჭახაძის სასხლიანი დანა ამ მაღაზიის ცარიელი ბოთლების გვერდით ნახეს, ბოროტმქმედს სისხლის ლაქებით აჭრელებული კოსტიუმიც აქ ჩაიმალა. ავისმქმნელს ერთ-ერთი გამყიდველის ლაბადა ჩაეცვა, ხელიც აქ დაებანა და სასტუმრო „ვერიისაკენ“ გაქცეულიყო. საინტერესოა, როგორ შეიპარა საშინელ დამნაშავე მაღაზიის საწყობში?

კალინინის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ი. ბეგიაშვილმა ამ მკვლელობაზე უკვე შექმნა სისხლის სამართლის საქმის ტომები. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს, კალინინის რაიონის პროკურატურის მუშაკების მხარდამხარ ბოროტმოქმედის გამომზეურებაში თავი ისახელეს რიგითმა მოქალაქეებმა რ. სომხიშვილმა და დ. ოგანიანმა. მაგრამ მილიციის ზოგიერთმა მუშაკმა, რომელიც ამ საშინელი დანაშაულის მოხდენის დღეს მოვალე იყო წესრიგი დაემყარებინა იქ, სადაც დანაშაული მოხდა, სრული დოყლაპიობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, რისთვისაც საკადრისადაც დაისაჯა.

თბილისის ცენტრში, სასტუმრო „თბილისში“ ქობულეთელი დონეტუანი, ავტომობილისწილების მაღაზიის გამყიდველი, მოსკოვის კოოპერაციის ინსტიტუტის ფილიალის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი ვახტანგ ვახტანგის-ძე გოგიტიძე და ქარელის რაიონის დამზადების კანტორის თანამშრომელი გიორგი იაკობის-ძე ჩხარტიშვილი ჩვეულებრივად შეზარხოშებული დაბინავდნენ. ვ. გოგიტიძეს, სასტუმროს თანამშრომლები, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც დიდი სიხარულით შეხვდნენ. მეგობრებმა სასტუმროს № 526 ოთახი მაგრად გამოიკეტეს. მთვრალებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. სტუმრად მყოფ გოგონას ლ-ს გოგიტიძემ გაუპატიურება მოუნდომა. ქალიშვილი ფანჯრიდან გადმოხტა და ადგილზევე გარდაიცვალა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პარტიის კალინინის რაიკომის ბიურომ სუსტი ხელმძღვანელობისათვის და თანამშრომელთა საქმიანობისადმი უკონტროლობისათვის სასტუმრო „თბილისის“ დირექტორს ფ. ქადაგიშვილს საყვედური გამოუცხადა საარიცხვო ბარათში შეტანით და სამუშაოდან გაათავისუფლა.

სასტუმრო „თბილისის“ ადმინისტრატორს, პარტიული ორგანიზაციის მდივანს ვ. დონაძეს მოქალაქეთა მიღებაში დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით. იგი მოიხსნა პარტორგანიზაციის შდივნობიდან და განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჩუხრაიმ, რომელიც თბილისის 34-ე მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში სწავლობდა, და იური ალბერტის-ძე დოგმაჯიანმა სასადილოში გონების დაკარგვამდე ილოთეს. უქნარა ახალგაზრდამ დოგმაჯიანმა მოქალაქე ი. კუვაიტი დანით მოკლა.

მუქთახორამ, ლოთმა ა. ხალგაიანმა წინასწარ განზრახვით მოჰკლა პატიოსანი, სრულიად უდანაშაულო მეზობელი. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მკვლელს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

თბილისში, ჯანშიას ქ. № 3 სახლში თავი მოიყარეს გიორგი ბაგრატის-ძე დავითაშვილმა, რომელმაც დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად ითვლებოდა, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტმა ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ლებედევმა, ტრესტ „მაღალმშენის“ მუშაკმა ნიკოლოზ ლეონიდეს-ძე თავდგარიძემ, დერმატო-ვენეროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა, ექიმმა ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გელდევანიშვილმა. ამ ძმაბიჭებმა ზომაზე მეტი მაგარი სასმელები დალიეს, ძალით ხელში ჩაიგდეს სტუმარი გოგონა და ოთხივემ გააუპატიურა. შემდეგ ერთი ბინიდან თავიანთი მსუბუქი მანქანით მეორეში გადაიყვანეს და თანაც 3.060 მანეთი მოპარეს. ამ ნამუსგარეცხილ ოთხეულს ცოლშვილიცა ჰყავს და კარგი თანამდებობის დედმამაც.

ფაქტების ანალიზი მოწმობს, რომ ჩვენთან დანაშაულობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. საკმაოდ ეფექტიანი არ არის მოქთახორობასთან, ალკოჰოლიზმთან, არასრულწლოვანთა უზედამხედველობასთან ბრძოლაც. ისიც ფაქტია, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, საცხოვრებელ უბნებში ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ახალგაზრდობის აღზრდისათვის. როგორც ჩანს, ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია ლამაზ-ლამაზი რეზოლუციებითა და კარგი დადგენილებების მიღებით ირთობს თავს. გზასაცდენილი ახალგაზრდის გამოსწორებისათვის კი სათანადოდ არ ზრუნავენ.

ბევრი მშობელი ყოველდღიურად არ უწევს კონტროლს თავის შვილს, არ იცის, რით სუნთქავს ის, ან რისთვის სჭირდება დანა ჯიბეში? სკოდავენ ქუჩის კომეტტები, ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოებიც.

რატომ ვარიდეთ ზოგჯერ თვალს უქნარებს, მოქთახორებს, რომლებიც ხშირად თავს იყრიან რუსთაველის მოედანთან, რუსთაველის პროსპექტზე, კოლმეურნეობის მოედანთან, კვების ობიექტების წინ? უქნარობა ხომ ბოროტების პირველი სათავეა.

არ დავინდოთ მკვლელები, მუქთახორები, ლოთები, ქურდ-ბაცაცები, როგორც იტყვიან, მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. ამ საქმეში ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლო-პროკურატურის ორგანოებთან ერთად უდიდესია თვითეული მოქალაქის მოვალეობა.

სასტიკი, შეუბრალებელი ბრძოლა ლოთებს, მკვლელებს!

შ. ჩხატარაშვილი,
ა. გოცირიძე.

დანაშაულობათა კვალდაკვალ

ვინ არიან მკვლელები

აი სადამდე მივყავართ მუქთახორობას, ლოთობას, დამნაშავისათვის თვალისწარიდებას...

16 აპრილს ერთ-ერთ ასეთ ბინაში ერეოდა ორ ადამიანს ჩხუბი.